პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წლიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

№ 75 სამშაბათი, 4 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 4 აპრილი 1922 წ. № 75

დღეს, 4 აპრილს, საღამოს 8 საათზე შესდგება

## ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბიუროს სხდომა

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

(1—1)

ხუთშაბათს, 6 აპრილს საღამოს 5 საათზე,

თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების შეფთა წარმომადგენლების თათბირი შეილად აყვანილ ნაწილების სამხედრო კომისრებთან ერთად

შეფების და სამხედრო კომისრების ყველა წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი: ლოლობერიძე.

კავკასიის ცალკე არმიის პოლიტსეკრეტარიატის უფროსის თანაშემწე ფელდმანი.

(3—1)

## ყველა პროფსაბჭოებს, სამაზრო პროფბიუროებს, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს

25 აპრილს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობის გახსნის გამო, რომელზედაც კონკრეტიულად გადაწყდება პროფკავშირთა ახალი მიზნები, ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა გადახდოს პროფმოძრაობის და წითელ პროფინტერნის კვირის გატარება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობის გათავებამდი.

ს. პ. კ. ს. მდივანი ნ. კიკნაძე.

ს. პ. კ. ს. საორგ. განყ. გამგე კ. ოდილავაძე.

## ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ

დღევანდელ საერთაშორისო პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზი იმ უძლიერეს სახელმწიფოებრივ დაშიარაღებულ ძალას, რეგულიარულ ნაწილის, რომელსაც დეზერტირობა ... რიც არ უნდა იყოს წარსულში მიზეზი ...

... ლით ამ უდიდესი სენის მოსპობა. არც ერთი დეზერტირი! ყველა მოქალაქე, ვისაც ეს ეხება, ჯარში, წითელ ყაზარმაში!—ესაა ჩვენი ლოზუნგი, რომელიც უნდა განვახორციელოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ამასთან ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გვმართებს მეტი მზრუნველობის გამოჩენა წითელ არმიელის ცხოვრებისადმი, როგორც ნივთიერათ ისე სხვა მხრივ: წითელი ყაზარმა უნდა იყოს არა მარტო სამხედრო სწავლების ადგილი, არამედ კლუბიც, სადაც იგი კულტურულად ამაღლდება, გათვითცნობიერდება და გონივრულად გაერთობა კიდეც. ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობის გაძლიერება დიდად შეუწყობს ხელს დეზერტირობის შემცირებას. მაშინ ჩვენ არმიელს მივიზიდავს ყაზარმის შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრება, რომელშიაც თვითონაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა და ადვილად არ დასთმობს მას.

ბ. ქ.

... ში ადგილი არა აქვთ. ყოველ ლონისძიებას ახმარს დღევანდელი ხელისუფლება აღგვის დედამიწის ზურგიდან, როგორც მშრომელი ხალხის გამყიდველი დეზერტირები აგრეთვე ყველა ის შავბნელი ელემენტები, რომლებიც შეეცდებიან ხელი შეუწყონ დეზერტირობის გაძლიერებას რა სახითაც არ უნდა იყოს იგი.

ძირს მუშათა ინტერესების გამყიდველი დეზერტირები. ზიზღი იმ მოსისხლე იმპერიალისტურ სახელმწიფოების აგენტებს, რომლებიც თავისი ... ენით მუშისა და გლეხის შვილებს თავის ყელ გამოსჭრელ საქმეს აკეთებინებენ.

გაუმარჯოს პატიოსნათ და გულწრფელათ მოსამსახურე წითელ ლაშქრელებს, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის წითელ ლაშქარს, ავანგარდს სოციალისტური რევოლიუციისას და დამცველს მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებისას, გაუმარჯოს ამხანაგ ტროცკის რუსეთის წითელი ლაშქრის მთავარ სარდალს.

გრ. გაზუნია.

## დეზერტირების შესახებ

ზოგიერთი ჩვენი ჯარის ნაწილებში ადგილი აქვს დეზერტირობას, რაც ყოვლად დაუშვებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ვინ არის დეზერტირი? დეზერტირია მოღალატე დღევანდელი არსებული საბჭოთა წესწყობილების; ხოლო საბჭოთა მთავრობა არის დამცველი უღატაკესი მშრომელი გლეხკაცების და პროლეტარიატის ინტერესებისა, მაშასადამე დეზერტირი ყოფილა მოღალატე, როგორც მუშათა კლასის ისე, მშრომელი გლეხკაცობისა. წითელი არმია ეს, ის ავანგარდია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში თავდადებით იცავდა იმ წითელ დროშას კომუნიზმისას, რომელიც რუსეთის მუშათა კლასმა 1917 წ. ოქტომბრის რიცხვებში პირველათ აღმართა პეტროგრადისა და მოსკოვის ქუჩებზე. ოთხი წლის განმავლობაში რუსეთის მშრომელი გლეხკაცობა და რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდა, როგორც შინაგანი კონტრ რევოლიუციის, ისე დასავლეთ იმპერიალისტური სახელმწიფოებ ს წინააღმდეგ, რაც მუშათა კლასის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ვინ იყვნენ ის არწივები, რომელნიც ასე თავდადებული იბრძოდენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად?.. ისინი გახლდათ რუსეთის წითელ არმიელები ...

ხშირად ხელს უწყობენ დეზერტირობის გაძლიერებას ნაწილებში თვით ნაწილების უფროსები, ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ამა თუ იმ გუნდის, ან ათასეულის უფროსი, რომელიც დაჩვეულია ავანტიურას, სცდილობს ჯერ კიდევ მოუმზადებელ წითელ ლაშქარში, რომლის თითქმის მთელი შემადგენლობა მუშურ-გლეხურია, შეიტანოს დეზორგანიზაცია, აგიტაციით დეზერტირობის გასაძლიერებლად. რაც მეტი გაიქცევა მით უკეთესია მათთვის სახაზინო ქონების შესანარჩუნებლად, რომელსაც არმატურული სიების მიხედვით აწერს ამა თუ იმ გაქცეულ წითელ არმიელს, რომელსაც შეიძლება არც ერთი იმ ნივთთაგანი არ მიეღოს. ხშირად მომხდარა ხოლმე ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გუნდის უფროსი, რომელსაც მხოლოდ სამი დღის უფლება აქვს უფლება გაუშვას წითელი ლაშქრელი შვებულებაში, აძლევს რამდენიმე ყალბ მოწმობას და ამგზავრებს ისეთ ადგილებში, სადაც მხოლოდ წასვლისა და დაბრუნებისათვის საჭიროება მას ათი ან თორმეტი დღე და რასაკვირველია ამ შემთხვევაში ლაშქრელი ყალბ ქაღალდებით, რომელიც მან მიიღო „დიდად პატივცემულ ალმზრდელ გუნდის უფროსისაგან“. ერთ მოწმობას რომ ვადა გაუვა „მკურნალი წითელ ლაშქრელი“ პირველ ქაღალდს ხევს და იკავებს ხელში ...

## უქმური დღე

საშინელების წინაშე სდგას დასავლეთ საქართველოს მდიდარი რაიონი: კარზედ არის მომდგარი სასტიკი შიმშილი, გამოწვეული შარშანდელ მოუსავლობის გამო. დღემდე კიდევ გაჭირვებით იტანდა ხალხი მდგომარეობას, მაგრამ ამ მოკლე ხანში მას გამოელაა ის მცირე მოსავალიც, რაც მას არგო შარშანდელმა წელიწადმა და ორი სამ კვირის შემდეგ, რა თქმა უნდა დაიწყება საერთო საშინელი შიმშილი მთელი თავისი შესაზარობით და შეუბრალებლობით.

შიში გიტაცებს და სასოწარკვეთილებას ეძლევი ამ რაიონის მდგომარეობის მომავლის წარმოდგენით. თუ ახლავე ენერგიულათ არ მიეშველა საზოგადოება ყველანი შევძრწუნდებით იმ საზარელი სურათებით რომელიც ყოველ ეჭვს გარეშეა ჩვენს თვილ წინ გადიშლება.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია შარშანდელი მოუსავლობისაგან. გრძელ ზამთარს მოყვა მოკლე გაზაფხული სამუშაოთ გამოსადეგი, შემდეგ თესვა არ დამთავრებულა რომ დაიწყო გვალვა, სასტიკი ხანგრძლივი გვალვა, დაგვიანდა მეტათ თესვა ატირდა სოფელი; შემოდგომაზე უსწრო უცნაურმა, მოულოდნელმა სიცივემ და ეს დაგვიანებით ნათესობა სრულიად განადგურა, მოიყინა, მოკარა ერთიანად სიმინდი. ხალხი დარჩა ცარიელზედ. დღეს ის მცირე მოსავალი რაც არგო შარშანდელმა წელიწადმა სოფლს, უკვე გამოლევაზეა, და გულშეწუხებული მუშა საწუხარს გულს ველარ უდებს, ლუკმის ძებნაშია რომ ოჯახი რამე რიგათ გამოკვებოს და დარბის იქით აქეთ, რომ ეგებ სადმე ცოტაოდენი საზრდო მაინც უშოვოს ცოლსა და შვილს.

ვიმეორებ საშინელება ტრიალებს ამ რაიონში შემოდგომიდანვე და ამ ორ-სამი კვირის შემდეგ მდგომარეობა პირდაპირ საზარელი შეიქნება. საჭიროა მიშველება, ჩქარი და საფუძვლიანი მიშველება.

მე არ ვაზვიადებ და შეცდომაში არ შემყავს საზოგადოება ამ თქმით. აქ მოვიყვან რამოდენიმე შემთხვევას, რაც მე დანამდვილებით ვიცი, რაც ჩემს თვალის წინ მომხდარა.

სოფლის ერთ ყრილობაზედ მოლაპარაკეს ყრილობამ მიმართა:—თავი დაგვანებე, ჩვენ გვშია, გვშია და იმაზედ გვითხარით სად ვიშოვოთ სიმინდი, სხვაზედ ნურაფერზედ გველაპარაკებით.

ერთმა ჩემმა მეზობელმა მითხრა: ყოველ დღე სახლში ვყვირი—მთელი მჭადის მაგიერ ნახევარი და მესამედით დაკმაყოფილდნენ, მეტ ხანს რომ გაგვიძლოს სიმინდმა, ეგებ ამასობაში სადმე ვიშოვო ცოტა მაინც

მოხუცებული 70 წლის სერპაიონ გ ცხარე ცრემლით ტიროდა ჩემთან მისული და სასოწარკვეთილი მთხოვდა მესესხებია მისთვის სიმინდი.

მეორე მეზობელი შეწუხებული გამოვარდა ჩემთან და თავის გაჭირვებას მეუბნებოდა, რომ რვა მისი ოჯახის წევრი, ამათში ხუთი ბავშვი, ყრიან უჭმელები.

მესამე მეზობელი შვილთან ერთად დარბის იქით-აქეთ სიმინდის სათხოვრად. მოიტანენ ცოტაოდენს და ისე გარბიან. მუშაობა მათი რასაკვირველია, ძლიერ შეფერხებულია, თავმინებებულია ლუკმის ძებნაში.

თვალცრემლიანი იფროსია მეუბნებოდა: ჩვენ გავყიდეთ ჩვენი წილი ძროხა, ვიყიდეთ ორი ბათმანი სიმინდი, შევჭამეთ და აღარ ვიცით რა ვქნათ ახლა, ერთი მარცვალი სიმინდი ჩვენ არ მოგვეძებნება სახლში.

პატარა შალიკო, ოთხი წლისა, უცნაურ ტალახში მოვიდა ჩემთან და მითხრა: დედამ გამომგზავნა, ქალბატონმა შალიკოს პადი აჭამოსო, ე. ი. მას.

მეზობელმა ქალმა ... —სამ მიამბო, რომ მასთან მისულა მეზობელი ქალი შვილით, რომ ეს უკანასკნელი წაიქცა და როგორც მოსულმა სთქვა —მიზეზი შიმშილი იყო.—ოთხი დღეა ჩვენსა არავის არაფერი უჭამია,—უთქვა მას.

მოხუცებული ელეფთია გამწარებული დარბოდა მეზობლებში, რომ ორიოდე პადი ეშოვნა ავადმყოფად მიგდებულ შვილებისათვის.

ამგვარადვე გამწარებული დარბოდა ან. გ—ძის ცოლი, რომ სადმე პადი ეშოვა შიმშილისაგან წაქცეულ გულშეწუხებულ ქალიშვილისათვის.

ამგვარი სურათები მრავალია და მდგომარეობა სულ მოკლე ხანში უფრო გართულდება, დამტანჯველი შეიქნება.

საჭიროა შველა, შველა გადაუდებელი, შველა ჩქარი და საფუძვლიანი, თორემ საზარელი რამ მოგველის.

დავ. კლდიაშვილი.

## წითელი პრესა

# რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა

**მოსკოვი 1 აპრილი (რადიო).** 29 მარტს დილის სხდომაზე მოისმინეს ამხ. ზინოვიევის მოხსენება კომინტერნის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს კომინტერნის მე-3 კონგრესის მეტად დიდ მნიშვნელობას. მე-3 კონგრესმა ჯამი გაუკეთა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებას. ამავე დროს კონგრესმა წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი აქტუალური საკითხი კომინტერნის შემადგენლობის ერთნაირობის შესახებ იმ ანარქისტულ და ნახევრად-ანარქისტულ ელემენტებისაგან გამიჯვნაზე, რომლებიც კომინტერნის ორგანიზაციის დროს მიღებულნი იყვნენ როგორც თანამგრძნობნი. როცა საბჭოთა რუსეთმა რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციის ნახევარს, რამოდენიმედ უკან დაიხია თავის პოლიტიკაში, ამ ჯგუფების ნაწილი გავიდა კომინტერნის შემადგენლობიდან და დადგა ბარიკადის მეორე მხარეს. ამ ჯგუფებმა დააარსეს ცალკე მეოთხე ინტერნაციონალი. მის ძირითად ბირთვს წარმოადგენს გერმანიის მუშათა კომუნისტური პარტია, უნდა აღვნიშნოთ,—და ეს მეტად მაჩვენებელია იმისი, რომ ეს ერთადერთი მუშათა პარტიაა, რომელმაც უარი თქვა რუსეთის დამშეულთა დახმარებაზე, ამ ინტერნაციონალში ითვლება სულ რამდენიმე ათასი წევრი. ამასთანავე განაგრძობს ამხ. ზინოვიევი, ჩვენ გავწმინდეთ ჩვენი რიგები: მარჯვნივ ჩვენ მოგვშორდა ლევის და სერატის ჯგუფები, რომლებიც გადავიდნენ ამ ჟამად მენშევიკების ბანაკში. ყველა ამან, რასაკვირველია, მხოლოდ გააძლიერა კომინტერნი. უკანასკნელ დროს რამდენადმე გაძლიერდა, აყვავდა საერთაშორისო მენშევიზმი; ეს აყვავება არსებითად წარმოადგენს მენშევიზმის უკანასკნელ „ზაფხულს". იმპერიალისტურმა ომმა მეტად შეასუსტა დამშეული მუშათა კლასი. მას სწყურიან შესვენება და ენატრება ლუკმა პური. იგი ერიდება ახალ განსაცდელსა და ბრძოლებს. მენშევიკებმა, რასაკვირველია, დაუწყეს ჩურჩული მუშათა კლასს: „თქვენ მართალი ხართ, შეისვენეთ, ნუ დაუჯერებთ კომუნისტებს, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია თქვენთვის პურის შოვნა" ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მოძრაობა იყო, დიდი მოძრაობაც იყო, მაგრამ ეს არ იყო უშუალო ბრძოლა. კაპიტალმა, რა დაინახა, რომ მუშები ისვენებენ, რომ ისინი უსმენენ მენშევიკებს, გადასწყვიტა, რომ დადგა დრო შეტევისა და ჩვენ მართლაც და მთელ მსოფლიოში ვხედავთ კაპიტალის შემოტევას, რომლის თავხედობა აღწევს გაუგონ არ ზომამდე. ამას შედეგად მოჰყვა მუშათა კლასის მოძრაობის ახალი ზრდა, რადგან მუშებმა დაინახეს, რომ ისინი ვერ იშოვნიან ლუკმა პურს უბრძოლველად. ახალი განწყობილება ჩნდება მუშათა კლასში. ეს აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა მთელი მუშათა კლასის გაერთიანება კაპიტალთან საბრძოლველად, ასეთი განწყობილება ჩვენ კომინტერნის მე 3 კონგრესის მიერ მიცემულ ძირითად ლოზუნგის—„მასებთან" შესასრულებლად. მაშ რანაირია ჩვენი ამოცანა? თუ ჩვენ არ გვინდა, რომ მუშათა მასებმა გადაიბირონ ჩვენზე, ჩვენ უნდა მხარი დაუჭიროთ საერთაშორისო მუშათა კლასის მისწრაფებას ერთიან ფრონტისკენ. მიუხედავათ იმისა, რომ ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სოციალისტ გამცემლები, მუშათა კლასის ჯალათები შეიდემანი და ნოსკე. სანამ ასეთ დასკვნამდე მივედით, ჩვენ ბრძოლა დაგვჭირდა კომინტერნის შიგნით. მაგრამ ეხლა მენშევიკების მეთაურების წერილები იმის შესახებ, რომ კომუნისტები მათ გასრესას უპირებენ ერთიან ფრონტის მოხებით, შეიდემანების გოდება ერთიან ფრონტის წინააღმდეგ—ყველა ეს ამტკიცებს, რამდენად სწორე იყო ჩვენი გადაწყვეტილება მივიღოთ უშუალო მონაწილეობა მუშათა კლასის ერთიან ფრონტით ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ. 2 აპრილს ბერლინში შესდგება კონფერენცია ყველა სამი ინტერნაციონალისა, რომელზედაც ჩვენი დელეგაცია ბუხარინი, რადეკი, კლარა ცეტკინი და სხვები—წამოუყენოს საკითხს მუშათა საერთაშორისო ყრილობის მოწვევის შესახებ, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა.

ამ კონფერენციაზე მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წარმომადგენელნი წამოაყენებენ საკითხს ერთიან ფრონტის შესახებ რუსეთში მენშევიკებთან და ესერებთან. ამ საკითხში ჩვენ მტკიცეთ მოვითხოვთ და აგრეთვე დავამტკიცებთ, რომ ჩვენ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება უპყრია მუშათა კლასს, არაა საჭირო ისეთი პარტიების მონაწილეობა, როგორიც არიან ესერები და მენშევიკები, რომელთაგან პირველი იარაღით ხელში და ტერორისტულ აქტებით ებრძვის მუშათა ხელისუფლებას, ხოლო მეორე გამოდის მათ დასაცავად. და ამის გარდა ერთიან ფრონტს აქვს აზრი იქ, სადაც ბრძოლა უნდა სწარმოებდეს მუშათა ხელისუფლებისთვის, და არა იქ, სადაც ეს ხელისუფლება უკვე არსებობს და სადაც რეფორმისტული პარტიები მხოლოდ ხელს უშლიან მას. ამ მარტივ და ნათელ ჭეშმარიტებას, რასაკვირველია, შეიგნებს ყოველი უპარტიო მუშა, რომელიც გულწრფელად ისწრაფვის თავის კლასის გამარჯვებისკენ.

ყრილობამ მიანდო ამხ. ზინოვიევს შეიმუშაოს რეზოლიუცია თავის მოხსენებაზე და წარუდგინოს იგი ყრილობას დასამტკიცებლად.

პროფკავშირებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტომსკი. მომხსენებელი აღნიშნავს რომ, რომ ცეკის თეზისები პროფკავშირთა ამოცანების შესახებ საკმაოდ შეთვისებულია, ამიტომ იგი თავის მოხსენებაში ჩერდება მხოლოდ იმ მომენტზე. რომლებიც იწვევენ ამა თუ იმ უთანხმოებას. შეცვლილი ეკონომიური პირობები ძალას გვატანენ შევცვალოთ პროფკავშირა ამოცანები (ბოლო არაა მიღებული)..

**ამხ. ლენინის საბოლოვო სიტყვა.**

**მოსკოვი. 1 აპრილი (რადიო.)** თავის საბოლოვო სიტყვის დასაწყისში, რომელიც წარმოთქვა კომპარტიის მე 11 ყრილობაზე ამხ. ლენინი არჩევს ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვის იმ ადგილს, სადაც ის ლაპარაკობს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის და იმას შესახებ (დამახინჯებულია).. არავის არ შეეძლო გაეთვალისწინებია ის რომ პროლეტარიატი დაიპყრობდა ხელისუფლებას სახელმწიფოში ნაკლებად განვითარებული მოსახლეობით და შეეცდებოდა ჯერ მოეწყო მსხვილი წარმოება და განაწილება გლეხებისათვის, შემდეგ კი, როდესაც ვეღარ სძლევდა ამ საქმეს კულტურულ პირობების გამო, მაშინ საქმეში ჩააბამდა კაპიტალიზმს. ყველაფერი ეს ჩვენ არას დროს არ გვითვალისწინებია, მაგრამ ეს უდავო ფაქტია.

ეხება რა ამხ. ლარინის სიტყვას, ამხ. ლენინი ლაპარაკობს: არც ერთი სერიოზული წინააღმდეგობა არ ყოფილა წამოყენებული იმის წინააღმდეგ, რომ საჭირო იყო გადასვლა სხვა ეკონომიურ პოლიტიკაზე. პროლეტარიატს არ ეშინია აღიაროს, რომ მას რაღაც კარგად არ გამოუვიდა. ყველა რევოლიუციონური პარტიები, რომლებიც ამდენხანს იღუპებოდნენ—იღუპებოდნენ იმის გამო, რომ მათ არ შეეძლოთ დაენახათ თუ რაშია ძალა და ეშინოდათ თავიანთი სისუსტის შესახებ ლაპარაკის. ჩვენ კი არ დავიღუპეთ, იმიტომ რომ, არ გვეშინია ჩვენ სისუსტის შესახებ ლაპარაკის და ჩვენ ვისწავლეთ ამ სისუსტის დაძლევა. კაპიტალიზმი, რომელიც ჩვენ დაუშვით, საჭირო იყო. თუ იგი ცუდი და მახინჯია, ჩვენ შეგვიძლია მისი გასწორება, იმიტომ, რომ ძალა ჩვენ ხელშია და არაფრის არ გვეშინია.

ათასჯერ უფრო ცუდია ის მდგომარეობა, როდესაც საქმე გაქვს მოწინააღმდეგესთან, რომელიც დგას აქ ეკონომიურ ყოველ დღიური საქმიანობის ნიადაგზე, დავა, რომელიც სწარმოებდა ხოლმე ლიტერატურაში აქამდის სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის საკითხის შესახებ, საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება შეადგენდეს ისტორიის სამოსწავლო სახელმძღვანელოების საგანს. მე სრულიადაც არ უარვყოფ სახელმძღვანელოების სარგებლიანობას, და ამას წინადაც ვწერდი, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენი ლიტერატორები უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდენ გაზეთებს და წერდენ სახელმძღვანელოებს, რასაც საუცხოვოდ შეასრულებდენ ზოგიერთი ამხანაგი და მათ რიცხვში ამხ. ლარინიც. ამ საქმეში მისი უნარიანობა ძლიერ სასარგებლო იქნებოდა. მაშინ ჩვენ გადაჭრილი გვექნებოდა ის ამოცანა, რომელიც ხაზ გასმით აღნიშნა ამხ. ტროცკიმ და რომლისათვისაც აქ არ შეიძლებოდა ტაში არ დაგვეკრა, რადგანაც ძირითადი ახალი თაობა უნდა აღვზარდოთ, და მათ აღსაზრდელათ ჩვენ არაფერი გვაქვს. როგორღა სწავლობს იგი საზოგადოებრივ მეცნიერებას? ძველ ბურჟუაზიულ გეგმით. ეს სასირცხოა, და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ გვყავს ასობით მარქსისტი ლიტერატორები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ სახელმძღვანელოები ყველა პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ არ იძლევიან, ვინაიდან ამაზე არ მუშაობენ, მისკენ არ მიისწრაფიან. ჩვენ ვერ შევძლით 4 წლის განმავლობაში გვესწავლა ის, რომ დაგვეყენებია სასარგებლო მუშაკი ნამდვილ სასარგებლო სამუშაოზე, და ჩამოგვეშორებია იმ სამუშაოდან, რომელშიდაც მას თავის სურვილის წინააღმდეგ მოაქონდა ზარალი. ამის შესახებ სერიოზულად უნდა მოფიქრება. უნდა განხილულ იქნას ეს საკითხი, ჩვენ თუ ამას გამოვასწორებთ, ჩვენ შევძლებთ გაჭირვებიდან გამოსვლას.

შეეხო რა ამხ. შლიაპნიკოვს, ამხ. ლენინი ამბობს: როდესაც ჩვენ ირგვლივ გარს გვარტყია მტრები, როდესაც ბურჟუაზია საკმაოდ ჭკვიანია იმისთვის, რომ გადააჯინოს მილიუკოვი მარცხნისაკენ და მოამარაგოს ესერები ფულით მათთვის სასურველ გაზეთების გამოსაცემად, რომ აამოძრაონ ვანდერველდე და ოტო ბაუერი და ფეხზე დააყენოს კამპანია ესერების სამართალში მიცემის გამო და ამტკიცონ, რომ ბოლშევიკები მხეცებია; როცა ეს ხალხი ასი წლობით სწავლობდენ პოლიტიკას და აქვთ თავის განკარგულებაში ოქროს მანეთების და ფრანკების მილიარდები, როცა ყველაფერი ეს ჩვენ გვაქვს თავის საწინააღმდეგოდ—ასეთ პირობებში ხუმრობა, როგორც ხუმრობს ამხ. შლიაპნიკოვი, ეს ამხანაგებო სამწუხაროა.

პარტიულმა ყრილობამ უნდა გამოიტანოს განსაზღვრული დასკვნა. სამართალი შლიაპნიკოვზე შესდგა და არ ყოფნიდა ც. კ.-ში 3 ხმა, რომ შლიაპნიკოვი გამოერიცხათ პარტიიდან.

ერთ ერთ ორატორმა სთქვა, რომ ვითომც მე ვლაპარაკობდი პოლიტიკურ გართულების შესახებ—არა, მე ვლაპარაკობდი პოლიტიკურ შეცდომებზე. ჩვენ თუ არ დაუშვებთ პოლიტიკურ შეცდომებს, მაშინ მე შემიძლია ვსთქვა, რომ პარტიის 99 | 100 ისევე იქნებიან ჩვენთან, როგორც უპარტიო მუშები და გლეხები, რომელნიც მიხვდებიან, რომ ეხლა სწავლების დროა. მე მაგონდება, რომ თავის წერილში, წითელი ჯარის არსებობის წლის თავის შესახებ, ამხ. ტროცკიმ სთქვა: „სწავლების წელიწადიო"-ო.

პარტიისათვის და მუშათა კლასისთვისაც ეს ლოზუნგი სწორია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გვყავდა ბევრი გმირული ადამიანები, რომლებმაც განამტკიცეს ჩვენი ხელისუფლება. მაგრამ ეს არ ამართლებს იმას, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ ის ამოცანა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე. „სწავლების წელი".

ეხლა ჩვენ ვდგევართ უფრო მტკიცედ, ვიდრე ვიდექით ერთი წლის უკან. რა თქმა უნდა, ბურჟუაზია ეხლაც შინჯავს ახალი ინტერვენციის მოწყობას, მაგრამ ეს მათთვის უფრო ძნელი მოსახერხებელი იქნება, ვიდრე იყო ის უწინ.

დღეს უფრო ძნელია, ვიდრე გუშინ, რომ განვახორციელოთ სწავლება, ჩვენ უნდა წავიყვანოთ ჩვენი პოლიტიკა ისე, რომ არ დავუშვათ პოლიტიკური შეცდომა.

ჩვენ ვერ დავხარჯავთ დროს პარტიის მთლიანობის თამაშში, როგორც ამას შვრება შლიაპნიკოვი. თუ ამას თავს არ დავანებებთ, ჩვენ მთლიანობას ვერ დავიცავთ, და ეს მთლიანობა კი თითქმის უმთავრესი გამარჯვებაა ჩვენი თუ ჩვენ ეს ნათლად ვიცით, მაშინ არ დარჩება ეჭვიანობის კვალიც, რომ ჩვენ შევძლებთ ყველაფრის დაძლევა".

29 მარტის საღამოს სხდომაზე მოისმინეს ამხ. სოლცის მოხსენება საკონტროლო კომისიის შესახებ. მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ც. კ. მოქმედება სცნეს სწორად, და მტკიცდება ცენტრში და ადგილებზე საკონტროლო კომისიების შემდეგი არსებობის საჭიროება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, რომელთან დაკავშირებით იზრდება საშიშროება პარტიის წევრების შერყევლობისა და მოუთმენლობის. საკონტროლო კომისიებმა უნდა განაგრძონ შესამოწმებელ კომისიების მოქმედება.

---

СИИ №. 22 თებერვალს რედაქციამ ხელი აიღო გაზეთის გამოცემაზე და ხსნიდა ამ ნაბიჯს უსახსრობით: ქაღალდის გაძვირებით, ტიპოგრაფიის ხარჯებით. როგორც ჩანდა გაზეთის მატერიალური მდგომარეობა ისე გაძნელდა, რომ ხელმძღვანელებმა ვერ მოასერხეს დაეცვათ მილიუკოვისთვის, რომელსაც ითვლიდნენ ამერიკელად და უარი სთქვეს გამოცემის გაგრძელებაზე. იმავე დროს სარედაქციო წერილში ბოდიშს იხდიდენ მილიუკოვის წინაშე, რომ ეს გადაწყვეტილება მათ მიიღეს მის დაუსწრებლად.

„ამნაირათ—სწერს ამის შესახებ ამხ. სოსნოვსკი მოსკოვის „პრავდა"-ში—რუსეთის ბურჟუაზიის თვით ხელმძღვანელმა პარტიამაც მატერიალურათ ვერ შესძლო გაგრძელებია „Голос России"-ს გამოცემა. მაგრამ გამოჩნდა უფრო მდიდარი კომპანია, რომელსაც ვერ აშინებს ვერც ქაღალდის სიძვირე და ვერც სატიპოგრაფიო ხარჯები. და—ეს უეცრად გამდიდრებული ხალხი არის ვიქტორ ჩერნოვი და მისი ამხანაგები. როგორ აღმოაჩნდა ამ შავრაზმელებს ამდენი ფული? ეს გასაგები შეიქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ რამოდენიმე თვის წინეთ „იზვესტია"-ში გამოქვეყნებულ ვ. ჩერნოვის წერილს, რომლითაც ის მიმართავდა თავის ცენტრალურ კომიტეტს და, რასაკვირველია, არ იყო განძრახული საბჭოთა პრესაში გამოსაქვეყნებლათ. ამიტომ ჩერნოვი გულახდილათ მოუთხრობდა თავის ამხანაგებს, რომ ფული მან მიიღო ჩეხო-სლოვაკიის მთავრობისაგან, რომ ის გაუნაწილებს მას რუსეთში მომუშავე ესერებს და რომ მას შეუძლია გაუგზავნოს მათ დიდძალი ლიტერატურა („засыпать вас литературой") საზღვარგარეთიდან (ასე იყო სიტყვა-სიტყვით ნათქვამი წერილში").

ცხადია ამის შემდეგ, რომ, როდესაც ჩვენი ამხანაგების რუსულმა გაზეთმა ბერლინში („Новый Мир") ეს ბრალდება ფინანსიური წყაროს შესახებ წაუყენა ჩერნოვს, ამ უკანასკნელმა ლანძღვა გინებით გასცა მას პასუხი და ვერაფერი ვერ მოახერხა ეთქვა არსებითად ამ ბრალდებაზე.

„ჩვენი გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ფული მიღებული აქვთ ჩეხიის მთავრობის ხაზინისაგან—სწერს „Новый Мир." (№ 61)—ისინი ვერ აბათილებენ, ისევე როგორც ეს ვერ მოახერხეს მათ ჩვენ მიერ ამ ცნობის გამოქვეყნებისათანავე".

შემოსავლის ასეთი წყაროებით სარგებლობს ესერების პარტია, მისი ბელადები და პირველი მათ შორის ვიქტორ ჩერნოვი. იმ კაცს, რომელიც თავს ვერ მოატრიალებს, რომ არ მოიხსენიოს ისეთი ბრწყინვალე პიროვნებანი ნაროდნიკებიდან როგორიც ენას ჩერნიშევსკი, მიხაილოვსკი, ლავროვი და სხვ. (იხ. მის მიერ ნაყიდი „Голос Росии"-ს (25 თებერვლის თარიღით) პირველი სარედაქციო წერილი, სადაც ახალ მოდის თეთრგვარდიელები ფიცულობენ მათ სახელს), იმ პირს, რომელიც კავშირს იჭერს რუსეთის და ევროპის შავი რეაქციის აგენტებთან, სარგებლობს მათი მატერიალური დახმარებით, ასეთ პირს გამბედაობა შესწევს „ბნელ პიროვნებათ" დასახოს თავის პარტიის „მებრძოლი ორგანიზაციის" ყოფილი მეთაური ვასილიევი, რომელსაც—ეს მართალია—კარგი ამბავი არ გამოუტანია დღის სინათლეზე პარტიის გახრწნილი შინაური ცხოვრებიდან.

მთელი ქვეყნის და განსაკუთრებით რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი საკადრისს მიუზღავს ჩერნოვს, იმპერიალისტური რეაქციის ამ პირქუშ აგენტს, რომელსაც თავის მეგობრებთან ერთად რუსეთის რევოლიუციის ბელადების სისხლში აქვს გარდა ამისა ხელებიც გათხუპნული.

---

# საუბარი პროფ. იპატიევთან

ცნობილ ჟურნალ „სმენა ვეხ"-ში (№ 17) მოთავსებულია საუბარი ცნობილ ქიმიკოს, აკადემიკოს იპატიევთან, რომელიც რუს მეცნიერთა ერთ ჯგუფთან ერთად ეწვია საფრანგეთს. იპატიევს უთქვამს ჟურნალის თანამშრომლისთვის:

„მე პოლიტიკაში არ ვერევი და არც მეინტერესება ის. ჩემთვის ცხადია მხოლოდ ერთი რამ: რევოლიუცია მომხდარი ფაქტია, რუსეთის ხალხმა შექმნა საბჭოთა ძალაუფლება, მას უჭერს მხარს, მას იცავს და ის სწამს. ამიტომ **საბჭოებს სრული უფლებით შეუძლიათ ილაპარაკონ რუსეთის ხალხის სახელით** (იგი უთხრა მან გაზ. „პტი პარიზიენის" კორესპონდენტს) [illegible] ც ზედმეტათ მიმაჩნია. თუ ცხოვრება მოითხოვს ოქტომბრის რევოლიუციის პირველი პოზიციებიდან გადასვლას, თუ აწიც საჭირო შე ნება დათმობა—ყოველივე ამას საბჭოები თვითონ იზამენ. ბოლშევიკები ცოტას პირდებიან, მაგრამ თავის დაპირებას ასრულებენ.

გაუმჯობესება მრეწველობის ს როში უდავოა. არ შეიძლება კი იმ თქმა, რომ სამრეწველო საქმეებ წარმოების დღევანდელი ფორმებ უკანასკნელი იყოს. ცხოვრება იძლ ვა მდიდარ გამოცდილებას ამ დარგ ში, რომელსაც ანგარიშს უწევს საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა. რა ალაგას ჩერდება ეს პროცესსი? ამის თქ გარკვევით ახლა ძნელია. ამისთვ წინდაწინვე საზღვრების დადება პოლიტიკოსების საქმეა, მე მათ რიცხ არ ვეკუთვნი. უმთავრესი კი ის არ რომ რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებასთან მუშაობა შეიძლება, ამ ტომ, სავალდებულოც არის ეს ყვ ლასათვის, ვისაც რუსეთისათვის კა გი სურს. მე დიდი ხანია ამაში დავ წმუნდი და რაკი მივიღებ ერთ რო მელიმე გადაწყვეტილებას, მე არ ვა შეჩვეული შევსცვალო ის.

საზღვარ გარეთ ხშირათ ლაპარაკობენ „გარანტიებზე". მაგრამ გარანტიები ძევს საბჭოთა ხელის უფლების თვით არსებაში, რომ ლიც მტკიცეთ სდგას და მისი ს ტყვა არის სიტყვა რუსეთის ხა ხის. საბჭოთა ხელისუფლება ანგ რიშს უწევს ცხოვრების აუცილებ მოთხოვნილებას. წინდაწინვე იმ პ რობების განსაზღვრა, რომელთა შ დეგ უცხოეთის კაპიტალს შეეძლ და დაბრუნებულიყო რუსეთში—უმ ნოა. დეე ის უცხოელი კაპიტალი ტები, რომლებსაც სხვადასხვა საქ ები ჰქონდათ რუსეთში, დაბრუ დნენ თავისუფლათ უკან. მათ პირა ხელშეუხებლობას არავინ არ ემ ქრება. დეე დაიწყონ მუშაობა მ ფაბრიკებზე და ზავოდებზე, ცხოვრ ბა კი გამოიმუშავებს იმ ფორმებ რომლებშიაც ჩამოყალიბდება ახალ დამოკიდებულება მესაკუთრის მ საკუთრებასთან. ამ ჟამათ სიტყ „მესაკუთრე" საფთხურია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ არ გამოიძ ნება საჭირო საშუალო ხაზი, რომ ლიც მოარიგებს კერძო და სახე მწიფოებრივ ინტერესებს.

აი მაგალითად 80 პროცენტი კე ძო საკუთრების დაუბრუნდა მე ტრონეებს. მხოლოდ უმთავრესი არს, რომ საჭიროა მალე დაბრუ დნენ რუსეთში ისინი, ვისაც ეს დ წესებულებები ეკუთვნიან. მა უმრავლესობა დღეს კარგად არ დაცული. მაგრამ დრო არ იცდ ბევრი ზავოდები, მაღაროები, წა მოებანი მოიშლებიან თუ ახლო მ მავალში იქ მუშაობა არ გაჩაღდა.

რუსეთის არავითარ გაყიდვა უცხოელებისთვის, არავითარ მის დ მონებაზე ევროპის მიერ, ლაპარა არ შეიძლება. ამის ერთათ ერთ გარანტია, რომელზედაც შეიძლე ლაპარაკი წინდაწინვე, არის საბჭო ხელისუფლება—რომელიც არ და შვებს რომ რუსეთი შეიქნეს ახა შენათ"...

---

# რა ხდება?

... გენუის კონფერენციის გარშემო ამოძრავდა მთელი ბნელეთი. შეიქმნა მოხერხებული და ხელსაყრელი მომენტი ყოველგვარი ავანტიურების, კონტრრევოლიუციონური გეგმების და ბანდიტური გამოსვლებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებიდან განდევნილი ბნელი ძალები სასიკვდილოთ განმზადებულნი და სულთამობრძავნი კვლავ იშლებიან, წელში იმართებიან და იარაღს ლესავენ, ლამობენ სისხლის არხი და ცეცხლის რკალი კიდევ შემოავლონ რუსეთს და ომის კოცონი დაანთონ.

იქმნება გაერთიანებული ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ: ტერიტორიალურათ მოკიდებული ფინლიანდიიდან ბელგრადამდე; პოლიტიკურათ კი ვრანგელიდან მარტოვამდე. რუსეთი ახალი ომის მოლოდინშია. მისი ძლევარი ხელი კიდევ იმარჯვებს მახვილს მტრის გასაგმირავათ.

მაგრამ ეხლა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო წარსულში, როცა რუსეთი თვით ომის პროცესში აწყობდა სახელმწიფო ორგანიზაციას და რაზმავდა ძალებს; როცა მტერი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რადგან მას ზურგს უმაგრებდა მთელი ანტანტა.

ეხლა რუსეთის შეიარაღებული ძალები რევოლიუციონურ დისციპლინით შედუღებულნი და გაფოლადებულნი, ბრძოლაში გამობრძმედილნი და გამარჯვებებით გამხნევებულნი მტკიცე იმედით ელიან მომავალს და უშიშრათ შეჰყურებენ მტრის სამზადისს.

კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომელნიც იწვევენ რუსეთს კონფერენციაზე და მის პოლიტიკურათ ცნობას დღის წესრიგში აყენებენ, ამავე დროს ჰკრებენ და რაზმავენ რუსეთიდან განდევნილ ბანდებს—ვრანგელის, პეტლიურას, სკოროპადსკის, ტიუტუნიკის, სავინკოვის და ძმათა მათთა—ახალი თავდასხმისა და ავანტიურებისათვის. ამ ავაზაკური საქმის ბაირაღათ გამოდის ეხლა თვით „დიდი მთავარი" ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

რუსეთის მოსაზღვრე წვრილი სახელმწიფოები—ფინლიანდია, ბალტიის მხარე, პოლონეთი და რუმინია, ეს ანტანტის და განსაკუთრებით საფრანგეთის ფინია ძაღლები, დიდ აქტივობას და ენერგიას იჩენენ საბჭოთა მთავრობის შესამუსრავათ. რა თქმა უნდა, რომ ამ სახელმწიფოებისათვის რუსეთთან უთანასწორო და საბედისწერო ომში ჩაბმა სასურველი და სასარგებლო არ არის. მას თვითონაც კარგათ გრძნობენ, მაგრამ რუსეთის მშვიდობიანი ცხოვრების, დაწყებული საამშენებლო მუშაობის აფორიაქებას მოითხოვს კაპიტალისტურ ანტანტის გეგმა და წვრილი სახელმწიფოებიც იძულებულნი არიან შეასრულონ თავის ბატონის ბრძანება.

საფრანგეთი დიდი ხანია განუწყვეტლივ აწვდის რუმინიას და პოლონეთს იარაღს, სამხედრო მასალას და ფულს. ამავე სახელმწიფოების და და აგრეთვე ბულგარეთის და ფინლიანდიის ტერიტორიაზე საფრანგეთის ხელმძღვანელობით იკრიბებიან და რუსეთის წინააღმდეგ მახვილს ლესავენ რუსეთელი გენერლები და „პომეშჩიკები", რუმინელი ბოიარები, პოლონელი პანები და ფინელი აქტივისტები.

მაგრამ აზრი და მიზანი მოსალოდნელი ავანტიურებისა საბჭოთა მთავრობის დამხობა და ბურჟუაზიულ წესწყობილების განმტკიცება როდია. ეს არავის არ სჯერა. ეს შეუძლებლათ მიაჩნიათ თვით ანტანტის სულის ჩამდგმელთ, არამც თუ მის ყურმოჭრილ ყმებს. ყველასათვის აშკარა და ნათელია, რომ ომის გამოცხადება რუსეთისათვის რომელიმე სახელწიფოს მხრივ გამოიწვევს დიდ მღელვარებას და მოძრაობას დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისა: საერთო გაფიცვებს, განსაკუთრებით კი სამხედრო ქარხნებში, დემონსტრაციებს, რკინის გზების და საზოგადოთ ტრანსპორტის გაჩერებას, შესაძლებელია შეიარაღებულ გამოსვლებსაც, ერთი სიტყვით სამოქალაქო ომის პირობების შექმნას და რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის უაღრესათ გამწვავებას, ეს აუცილებლათ ასე იქნება.

დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი არ მისცემს ნებას მის მოსისხლე მტერს, იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომელთანაც იგი ეხლა ებმება სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, მახვილი ჩასცეს მშრომელთა სახელმწიფოს, რუსეთს, სადაც ჩაყრილია საძირკველი მთელი კაცობრიობის სოციალისტური მომავლისა. ეხლა იმპერიალისტები ისე ადვილათ ვეღარ გაიყვანენ საომრათ მშრომელ მასებს, როგორც ეს ხდებოდა წარსულში. მით უმეტეს რუსეთის წინააღმდეგ, რომლის სახელოსანი სახე ნათელია ყველა ღარიბ-ღატაკთა და დამაშვრალთათვის სამხრეთითაც და დასავლეთითაც, მიუხედავათ იმისა, რომ მას გულმოდგინეთ და გამალებულათ კაპიტალისტური პრესა, მეცნიერება, დიპლომატია და პოლიტიკა ხვევდა და ჩრდილავდა ყოველგვარი სიბინძურის და საზიზღროების ნასლში.

თვით რუსეთში კი ასეთი ომი გამოიწვევს ბრძოლის წარმოუდგენელ ენთუზიაზმს, რომელიც გაიტაცებს არამც თუ მშრომელ მასებს, არამედ ინტელიგენტურ და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებსაც. რუსეთის დაცვა გარეშე დამპყრობელი უხეში ძალისაგან გადაიქცევა ნაციონალური დამოუკიდებლობის ლოზუნგათ. დიახ, პოლონელების, რუმინელების, ან ფინელების შემოსევა საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში გადაიქცევა ძლიერ ფაქტორათ მასების ბრძოლის ველზე გამოსასვლელათ. სრულიად წარმოუდგენელია, რომ გარდა გაბოროტებულ მონარქისტების და ესერებისა, რუსეთის ხალხის ფართო მასებში რაიმე გასავალი ჰპოვოს უცხო ძალის რუსეთში შემოჭრამ, იქ მისმა ფარფაშმა და საბჭოთა სახელმწიფოს ნანგრევებზე მონარქიულ ან ბურჟუაზიულ წესწყობილების აღდგენის აზრმა.

ამ ფსიქოლოგიურ მომენტს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივაკუთნოთ, უერთდება მეორე რეალური აგრეთვე გადამწყვეტი ფაქტორი: მძლეთა მძლე წითელი არმია აღჭურვილი დიდი საომარი გამოცდილებით, სამაგალითო დისციპლინით, ტეხნიკური მოწყობილებით და უებარი ხელმძღვანელობით, არმია, რომელსაც დღეს ბადალი არა ჰყავს კაპიტალისტურ ქვეყნებში. თვით რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ძალები არა-ერთხელ დამარცხებულნი და განადგურებულნი თავის თავათ არარაობას წარმოადგენენ და მათი მუქარა სერიოზულ საფრთხეს არ შეიცავს.

ეს ყველაფერი კარგათ აქვსთ გათვალისწინებული და გაგებული ანტანტის მთავრობებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათი ლოცვა-კურთხევით საომარი სამზადისი მაინც სწარმოებს.

თუ რუსეთზე გამარჯვების იმედი არა აქვთ რათ დასჭირდათ იარაღის ჟღარუნი? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებათ საგულისხმოა ახლო წარსულიდან ერთი ფაქტის აღნიშვნა. როცა იაპონიამ გამოაცხადა თანხმობა მოლაპარაკებაზე შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან და კონფერენცია კიდეც შესდგა მუშაობას დაირენში, სწორედ ამ დროს კაპელის, მერკულოვის და სემიონოვის ბანდები იაპონიის მთავრობის მიერ მომზადებულნი შეესიენ რესპუბლიკის ზღვის ნაპირა ოლქს. რასაკვირველია ამ ბანდების საშუალებით იაპონია არ ფიქრობდა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დამხობას, რადგან ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ მოპირდაპირის მდგომარეობის გაუარესებით, მისი შინაური არეულ-დარეულობით და დასუსტებით ის ლამობდა მოლაპარაკების დროს კონფერენციაზე მეტი შანსების მოგებას. ეს დღეს სრულიათ აშკარა და უდავოა. ასე იქცეოდენ იმპერიალისტი მთავრობები ყოველთვის, როცა ისინი იწვევდენ საბჭოთა რესპუბლიკას ზავის შესახებ მოსალაპარაკებლათ. ყოველთვის ასეთ წინადადებას მოჰყვებოდა კონტრ-რევოლიუციონური ომის გაჩაღება და კერზონი რომელიც ერთი ხელით ზავის ნიშნათ დაფნის გამხმარ შტოს ატრიალებდა რუსეთის წინაშე მისი ყურადღების მისაძინებლათ, მეორე ხელით მახვილს ლესავდა ზურგში ჩასაცემათ. ასე იყო როცა პირველათ ანტანტა იწვევდა რუსეთს პრინცის კუნძულებზე. ასე იყო, როცა კერზონმა მიმართა საბჭოთა მთავრობას ვრანგელის შესახებ და არწმუნებდა მას, რომ ვრანგელი მზათაა იარაღი დაყაროს, მხოლოდ შეწყალებას და დაუსჯელობას ითხოვსო. ასე იყო შარშან, როცა ანტანტამ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ინტერვენციის. ასეა დღესაც. ცხადია რომ თეთრგვარდიელების ყოველივე შეიარაღებულ მზადებას ბალკანეთში, რუმინიაში, პოლონეთში, ესტონიაში, ლატვიაში და ფინლიანდიაში ერთი აზრი აქვს: რუსეთის ცხოვრებაში არევ-დარევის შეტანა; დაწყებული მშვიდობიანი, აღმშენებლობითი მუშაობის შეფერხება; დამკვიდრებული ნორმალური წესიერების და ურთიერთობის დანგრევა,—ერთი სიტყვით ისეთი შთაბეჭდილების შექმნა მთელი ქვეყნის თვალში, რომ არსებული სახელმწიფოებრივი რეჟიმი რუსეთში არ არის მკვიდრი, ბუნებრივი და ხალხისთვის სასურველი. ეს კი საჭიროა ანტანტის დიპლომატებისთვის გენუის კონფერენციაზე იმიტომ რომ საბჭოთა რუსეთის დელეგაციის პოზიცია შეასუსტონ იქ, მეტი შანსები მოიგონ, მეტ დათმობებზე აიძულონ იგი და სხ. და სხ.

მაგრამ მათ საუბედუროთ საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატებმაც კარგათ იციან ყველა ეს არა ერთხელ და ორჯელ ნაცადი ხრიკები და პლანები ანტანტისა. ოთხი წლის განუწყვეტლივმა ბრძოლამ ანტანტასთან ისინი აღჭურვა საჭირო ცოდნით და გამოცდილებით. ყველაფერი ეს არ ახალია ძველია—და ამიტომ არავითარი ახალი სამხედრო კავშირების შექმნა რუსეთის წინააღმდეგ, როგორიცაა, მაგალითად, პოლონეთ-რუმინიის სამხედრო კავშირი, ან პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების და ან (თუ ეს ცნობა სწორია) პოლონეთის და უნგრეთის ვერ აიძულებს რუსეთს ისეთ დათმობებზე დათანხმებას, რომლებსაც იმუშავებენ ექსპერტთა კომისიები ლონდონში და სხვაგან. რუსეთის პოზიცია გენუაში იქნება დამყარებული ლენინის კატეგორიულ განცხადებაზე მეღითონეთა ყრილობაზე: დათმობები გათავდა და მეტს ნურავინ მოელისო.

ინტერვენციის შესაძლებლობა ჰქმნის, რასაკვირველია, სერიოზულ მდგომარეობას, მაგრამ ეს მდგომარეობა გაცილებით უფრო ადვილი და უშიშარია ვიდრე ის, რომელიც იყო წარსულ წლებში.

ყოველივე ამის დაწვრილებით გათვალისწინება, აწონ-დაწონა, სამხედრო ძალების სათანადო მომზადება რუსეთის მხრივ—იძლევა სრულ იმედს იმისა, რომ ანტანტის ეს მოსალოდნელი ავანტიურა ისე დაიღუპება, როგორც სხვა მრავალი მისი ავანტიურები წარსულში.

ს. ქავთარაძე.

---

# კაპიტალიზმის სამეფოშ

**ლოკაუტი ინგლისში.**

**ბორდო, 1 აპრილი, (რადიო).** მწ მოებლებს და მეტალურგიული წ მოების მუშებს შორის მოლაპარა შესწყდა. მწარმოებლების ფედე ციამ ცნობა მუშების სინდიკატ რომ 5 აპრილიდან ცხადდება ლ კაუტი. ქუჩაში გამოიყრება 6,000 მ მუშა.

**საფრანგეთის დელეგაცია.**

**მოსკოვი. 31 მარტი,** (რადი ბორდოდან 28 მარტის რიცხვით წყებიან: საფრანგეთის დელეგაც სათავეში დადგება ბარტუ. დელ ციის წევრად დანიშნულია კოლ ტი. 3 დარჩენ დელეგატებს ამოი ჩევს ამ დღეებში მინისტრთა საბჭ განსაკუთრებული თათბირი.

**ერთა ლიგა და გენუა.**

**მოსკოვი. 31 მარტი,** (რადი ერთა ლიგის საბჭოს განსაკუთ ბულმა სესიამ მიიღო ცნობად ი ლიის მთავრობის წინადადება გენ კონფერენციაზე ერთა ლიგის სე ტარიატის წარმომადგენელთა გ ზავნის შესახებ. საფრანგეთის მთა რობამ წაიკითხა სესიაში შემდე დეკლარაცია: „საფრანგეთის წარმ მადგენელს აქვს პატივი მთავრო საბჭოს სახელით მოაგონოს, რომ ციათა ლიგას უნდა მიენდოს გამო ნება და ასრულება კონფერენცი დადგენილებებისა, რამდენად ეს დგენილებები შედიან ერთა ლი კომპეტენციაში.

და გადასცილდეს პირველ მაისს და მთავრობის დადგენილებით თესლით ვაჭრობა აღნიშნულ დროის შემდეგ აღკრძალულია.

გ) მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს მხოლოდ იმდენი თესლი, რამდენისათვისაც მას ექნება საყოფი თუთის (ბჟოლის) ფოთოლი საკვებად და საჭიე სახლის ბინად.

**6. მოიმზადეთ ჭიის სადგომი, ჭია დააჯინეთ საკვების კვალობაზე.**

ექვს ან შვიდ მისხლიან კოლოფ თესლიდან გამოყვანილ ჭიების გამოსაკვებად საჭიროა 40 დიდი ანუ 60—80 ძირი საშუალო სიდიდის ხე, რომლებიდანაც შეიძლება 50 ფუთამდე უტოტო ფურცლის მიღება. საჭიე სახლია, რომელსაც დაახლოვებით ექნება 7 არშინამდე სიგანე, 9 არშინამდე სიგრძე და 5 არშინამდე სიმაღლე.

მეაბრეშუმემ კარგათ უნდა იცოდეს, რომ თუ მას აქვს საყოფი ფოთოლი და საჭიე სახლი მარტო ერთ კოლოფ თესლის ჭიისათვის და ის კი ორ ან სამ კოლოფ თესლს აიღებს, ამით ის ვერაფერს მოიგებს, ხშირად შრომა ტყვილად ჩაუვლის. ასეთ შემთხვევაში მეაბრეშუმეს ან სულ უფუჭდება მოსავალი ან პარკი უფრო ცუდი თვისების გამოვა და ჭიებს ავადმყოფობაც უფრო ადვილათ გაუჩნდება და სხვა.

**7. ერთ სადგომში მხოლოთ ერთი ჯიშის ჭია იყოლიეთ.**

ე) ერთსა და იმავე საჭიე სახლში არ შეიძლება გამოყვანა გამოკვება ჭიების, ორი სხვა და სხვა ხარისხის და ფორმის თესლიდან, რადგანაც თუ ერთ კოლოფში საიჭვო თესლია და ჭიებიც სნეულია (საქართველოში ხშირად მეაბრეშუმეები ერთი და იმავე სახლში აჯენენ, როგორც გამოწერილ ისე შინაურ ორ მოსავლიან თესლიდან გამოყვანილ ჭიებს, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში რაიმე გადამდები სენი სჭირს) ავადმყოფობა მეორე საღი თესლის ჭიებსაც გადაედება.

**8. როდის უნდა შეუდგეთ ჭიის გამოყვანას.**

ჭიის გამოყვანას ან თესლის გაცოცხლებას მეაბრეშუმე უნდა შეუდგეს მაშინ, როცა გარეთ ჰაერი საკმაოდ გამთბარია, თუთის (ბჟოლის) ხის კვირტები გაღვივება-გაშლას იწყებს და ნორჩი ფოთლის ნორმალური ზრდა განვითარება უზრუნველყოფილია სითბოსი და კარგი ამინდების მხრივ.

**9. დაასუფთავეთ ბინა, მოიმარაგეთ ხელსაწყო.**

მეაბრეშუმემ ვიდრე ჭიის გამოყვანას შეუდგებოდეს უნდა გასწმინდოს საჭიე სახლი—კედლები ჭერ-იატაკი დადუღროს ნაცრის ან კირის წყლით. უნდა დაიდუღროს აგრეთვე ნახმარი ჩაფრები და ჩელტ-ლასტებიც. თუ შესაძლებელი იქნება ამ ნაირად გასუფთავებულ საჭიე სახლში უნდა მოთავსდეს ყველა ის ნივთები, რომლებიც ჭიის გამოკვების დროსაა საჭირო და ერთი დღე ღამის განმავლობაში დაბოლოს გოგირდით. დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეებს ურჩევთ აქედანვე მოიმარაგონ ჩალის ღერები ახალი ჩაფრებ-ლასტების გასაკეთებლათ.

**1. მოუფრთხილდით ბჟოლას, უიმისოთ ჭიას ვერ გამოკვებავთ.**

აუცილებლათ საჭირია ჭიის რიგიან გამოკვებისათვის რაც შეიძლება მეტი ფურცლის მომარაგება. უზრუნველყოფა, ამისათვის ურჩევთ მეაბრეშუმეებს აქედანვე შეუდგენ მიწის დამუშავება-დაბარვას ბჟოლის ხის ძირების ირგვლივ და გაუფრთხილდნენ, რომ ბჟოლები (თუთები) არ დაბელონ-გაჩეხონ ლობის ან ხარდნისათვის (ჭიგო).

**12. სად და როგორ შეიძლება თესლის შეძენა.**

წელს მთავრობამ შეიძინა ჩვენში კარგათ ცნობილი უცხოეთის ფირმების თესლი—პასხალიდისა, ზარიფიანისა, ხანჯიანისა, ფერანისა და სხვა. თესლი შეღავათიან პირობებში მიეცემა იმ მეაბრეშუმეებს, რომლებმაც შარშან ჩააბარეს ნედლი პარკი მთავრობას და მიიღეს სათანადო კვიტანცია. მეაბრეშუმემ ზემოაღნიშნული კვიტანცია უნდა წარუდგინოს ადგილობრივ ორგანიზაციას—კოოპერატივთა კავშირს, რომელსაც ჩააბარა ნედლი პარკი და მიიღოს თესლი შემდეგ ანგარიშით: თუ ჩაბარებული ნედლი პარკის რაოდენობა არ აღემატება 18—გირვანქა პარკს, მიიღებს სამ მისხალს (ნახევარ კოლოფ თესლს) და თუ 18 გირვანქაზე მეტია—მიიღებს 6 მისხალს (ერთ კოლოფს). მეაბრეშუმის თვითეულ ოჯახს 1 კოლოფზე მეტი თესლი არ მიეცემა. მეაბრეშუმემ, რომელმაც შარშან თესლი მიიღო და პარკი კი არ ჩააბარა მთავრობას, უნდა გადაიხადოს თესლის საფასური. თესლის ფასი დადგენილია მთავრობის მიერ ადგილობრივათ დამზადებული სამოცი ათასი მანეთი (60.000) მან. მისხალი და უცხოეთიდან შემოტანილი ასი ათასი (100.000) მანეთი. თესლის გაყიდვა თბილისის და ქუთაისის საბრეშუმო სადგურებზე უკვე დაიწყო.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი: **ი. ქუთათელაძე**

# როგორ უსწორდება საბჭოთა ხელისუფლება ბანდიტებს

## საქართველოს საგანგებო კომისიის ამა წლის 9 მარტის დადგენილებით დაისაჯენ უმაღლესი სასჯელით — დახვრეტით

1) გიორგი გეგენის ძე თარკაშვილი და სოლომონ ამირანის ძე თარკაშვილი, როგორც გაუსწორებელი ბანდიტები რეციდივისტები, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ერეკებოდენ „წითელი ჭების“ მცხოვრებ გლეხების ჯოგს.

2) ნური აბას ოღლი და ქემალ ალტუნ ოღლი, როგორც ბანდიტები რეციდივისტები, რომლებიც შეიარაღებულ თავდასხმას და ძარცვა გლეჯას ახდენდენ ახალციხის რაიონის მცხოვრებლებზე, და რომლებმაც მოჰკლეს ახალციხის მაზრის მილიციის უფროსი ამხ. მაისურაძე.

3) მოსე შალიკოს ძე ფიცხალაური როგორც გაუსწორებელი ბანდიტი, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად შეიარაღებული ახდენდა გლეხების დარბევას, (დაკითხვაზე მისი ამხანაგები მანვე გასცა) და რომელიც შიშის ზარს სცემდა მშვიდობიან მცხოვრებ გლეხებს.

4) სანდრო გიორგის ძე ჯარიაშვილი, ევგენი ესტატეს ძე ნახუცრიშვილი, თედორე მიხეილის ძე ცერცვაძე და აბრამ გიორგის ძე ოგრაბიშვილი, როგორც ბანდიტები-რეციდივისტები, რომლებმაც მოაწყვეს ბანდიტების ბრბო სართიჭალის გზაზე, და სისტემატიურად სძარცვავდენ აღნიშნულ გზაზე გამვლელ-გამომვლელ გლეხებს ტრანსპორტს, მწყემსებს და რომელნიც ახდენდენ შეიარაღებულ თავდასხმას მშვიდობიან მცხოვრებლებზე. და როგორც შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევნი მათი დაჭერის დროს.

5) მიხეილ დავითის ძე ქარუმიძე და ნიკოლოზ ეგორის ძე კარბელაშვილი, მშვიდობიან მცხოვრებლებზე წინასწარ მოფიქრებული გეგმით მთელ რიგ შეიარაღებულ თავდასხმისათვის.

6) ლავრენტი შალუტაშვილი ახალციხის შარა გზაზე ბანდიტების ბრბოს მოწყობისათვის და ამ გზაზე სისტემატიური ძარცვისათვის.

7) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კოლოკოლოვი და არშაკ გიორგის ძე აგაბეკოვი, როგორც პროფესიონალური გაუსწორებელი ბანდიტები რამდენჯერმე შემჩნეული სისხლის სამართლის ადმინისტრაციის მიერ, რომელნიც ინახავდენ ძარცვა გლეჯისთვის ბომბებს და სხვა ცეცხლის მსროლელ იარაღებს.

8) რუბენ დავითის ძე ბაკდასაროვი, ანატოლი ნიკოლოზის ძე ფედოროვი, ბიკტორ ზოსიმეს ძე ურულაძე, ისიდორე პავლეს ძე ჯინჭარაძე, მაიერ რუვიმის ძე შანშეინი—როგორც ბანდიტების წევრები, რომელნიც ტერორის ქვეშ აყენებდენ თბილისის ზოგიერთ რაიონებს წინასწარ შემუშავებული გეგმით, თავის შეიარაღებულ დარბევით.

9) მიხეილ სამსონის ძე გელოვანი ფურნის გაძარცვისათვის, დატყვევების დროს იარაღით წინააღმდეგობის გაწევისთვის და როგორც გაუსწორებელი ბანდიტი, რომელსაც უწინ ქონდა მისჯილი საქართველოს საგ. კომ. მიერ უმაღლესი სასჯელი, დახვრეტა იმავე ბოროტმოქმედებისათვის.

10) პეტრე ალექსის ძე როდინი, როგორც პროფესიონალური ბანდიტი, რომელიც განუწყვეტლივ ბანდიტობდა მეფის დროს, მენშევიკების დროს და საბჭოთა ხელის უფლების დროსაც, და არა ერთხელ მიცემულ სასამართლოში აღნიშნული ბოროტმოქმედებისათვის.

11) ლადო ალექსანდრეს ძე ზირაკაშვილი, ხეტისო სტეფანეს ძე დოვგერიძე და ლადო დავითის ძე შიშმელაშვილი, სისტემატიურ შეიარაღებულ ძარცვა გლეჯისთვის, ორი მოქალაქის მოკვლისთვის მათი გაძარცვის მიზნით, სამხედრო წარმომადგენელზე შეიარაღებულ თავდასხმისათვის იმავე მიზნით, მათ მიერ მთელ რიგ მოწყობილ დარბევისთვის, რომელიც მათ მოახდინეს მათი პოლიტბიუროს აგენტობის დროს.

12) ნიკოლოზ დავითის ძე მაკაცარია და მუსტაფა იუსუფ ზადე ყალბ ფულის მჭრელ ბრბოს მოწყობის და რ. ს. ფ. ს. რ. ნიმუშის ფულის ნიშნების გამოშვებისათვის.

13) გევორკ არსენის ძე მელიქაშვილი და ბაგრატ მიხეილის ძე სააკოვი, როგორც პროფესიული ბანდიტები, ბევრჯერ ჩარიცხულნი და შენიშნულნი სისხლის სამართლის საგამომძიებლო და კოჯრის გზაზე არა ერთ შეიარაღებულ თავდასხმისათვის.

განაჩენი ყველა აღნიშნულ პირებზე სისრულეში იქნა მოყვანილი ღამით 1922 წლის 14 მარტს. ასე უსწორდება საბჭოთა ხელისუფლება ყველა ბანდიტებს, რომელნიც ძირს უთხრიან საბჭოთა მშვიდობიან აღმშენებლობას და არბევენ მშვიდობიან გლეხობას.

# პროვინციაში

**დ. მუხრანი.**

1922 წ. 25 მარტს, ნოწვეულ იქნა საერთო კრება მუხრანის გლეხობის და მუშებისა. კრებას დაესწრო 400-მდე გლეხი. კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის და კომ-კავშირის იაჩეიკის წევრებიც. ქალებიც დაესწრო. დაესწრო აგრეთვე დუშეთის კომ-კავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. დავით კაჭარავა. დღიური წესრიგის საკითხი: 1) საქართველოს შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა.

ამ საკითხზე ვრცლათ მოხსენება გააკეთა ამხ. დავით კაჭარავამ.

ამხ. ახასიათებს საქართველოს შინაურ მდგომარეობას მუშურ-გლეხური ხელის უფლების დამყარების შემდეგ. შეეხო თუ რა პირობებში იყო საქართველო მაშინ, როდესაც მენშევიკები გაიქცნენ საქართველოდან და თან გაიტაცეს საქართველოს მშრომელი ხალხის სიმდიდრე, ოქრო ვერცხლი და სხვა. აგრეთვე ტრანსპორტის სრულიათ მოშლას, ხიდების აფეთქებას და სხვა და ეკონომიურათ აწეწილ დაწეწილ მდგომარეობას. როდესაც საქართველოს მშრომელმა ხალხმა აიღო ძალა-უფლება ხელში, მთავრობას არ ქონდა რესურსები, რომლითაც შეიძლებოდა სახელმწიფოებრივი ხარჯების დაფარვა. ამხ. შეეხო აგრეთვე თუ როგორი განწყობილება არსებობდა ქართველ ერსა და საქართველოში მცხოვრებ პატარა ერებს შორის და ამიერ კავკასიის რესპუბლიკებთან მენშევიკების დროს. აღნიშნავს საშინელ ნაციონალისტურ შოვინიზმის, რომელსაც აღვივებდნენ აქ მენშევიკები მათი ყოფნის დროს და მის შედეგებს. ამხ. შეეხო თუ როგორ, რა საშუალებები იხმარა საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელის-უფლებამ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, როგორ პირობებში ვიმყოფებით დღეს და რას უნდა მიექცეს ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება. აგრეთვე ამხანაგმა აღნიშნა, თუ როგორ მოუღო ბოლო საქართველოში. ხალხის ხელის უფლებამ ნაციონალისტურ შოვინიზმს.

დღეს არსებობს სრული კეთილგანწყობილი ურთიერთობა ამიერ კავკასიის ერებში, და კერძოთ თვითეულ რესპუბლიკა პატარა ეროვნებების მოთხოვნილებებს ანგარიშს უწევს. ამიერ კავკასიის ხალხებს შორის ჩამოვარდნილია სოლიდარული, ამხანაგური კავშირი. ამხ. შეეხო ვრცლათ აგრეთვე სასურსათო გადასახადსაც, ვინაიდან ეხლა უნდა ჩატარდეს სასურსათო გადასახადი მუხრანის რაიონში. აღნიშნა მისი შემოღების გამომწვევი მიზეზები და მისი შეკრების საჭიროება. სხვათა შორის მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასურსათო გადასახადი ეს ის დროებითი მდგომარეობის გაუმჯობესება. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ჩვენი შინაური ცხოვრების საკითხებსაც. შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების და საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას, როგორც ეკონომიურს, აგრეთვე პოლიტიკურსაც. შემდეგ ამხ. გადადის იმპერიალისტურ სახელმწიფოების დახასიათებაზე და ეხება თვითეულ სახელმწიფოს, როგორც ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და იტალიას, მათი ეკონომიურ პოლიტიკურ მდგომარეობას, მუშების გაფიცვებს და სხ. შემდეგ ამხ. აღნიშნავს აგრეთვე რევოლიუციონური მოძრაობის ზრდას ამ სახელმწიფოებში. შემდეგ ამხ გადადის გენუას კონფერენციაზე, აღნიშნავს მისი მოწვევის მიზეზებს და მიზნებს, თვითეული იმპერიალისტური სახელმწიფოების დამოკიდებულებას ამ კონფერენციისადმი, იმპერიალისტურ სახელმწიფოების ურთიერთი შორის უთანხმოებას, საბჭოთა მთავრობის მიწვევას ამ კონფერენციაზე და მის დამოკიდებულებას კონფერენციისადმი და სხვა. ამხ. შეეხო აგრეთვე ამიერ-კავკასიის გაქცეულ მთავრობების მოღვაწეობას საზღვარ გარეთ და მათი დამოკიდებულებას გენუის კონფერენციისადმი.

დასასრულ ამხ. აღნიშნავს იმპერიალისტურ სახელმწიფოების თანდათანი დაუძლურებას, კომუნისტურ პარტიის და მუშათა კლასის სიძლიერის ზრდას ამ სახელმწიფოებში. ამხანაგმა ყველა საკითხები გააშუქა გასაგები ენით, რის გამოც დამსწრე გლეხობა მოხსენებას დიდი ყურადღებით ისმენდა.

მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კაჭარავასი ჩვენს შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე, ვეგებებით აღტაცებით მუშურ გლეხურ ინტერესების გამომხატველ კომუნისტურ პარტიას, რომელიც არის მსოფლიო მასშტაბით ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს მშრომელი ხალხის განთავისუფლება. ჩვენ მუხრანის მშრომელი მუშები და გლეხები ფიცსა ვსდებთ კომუნისტურ პარტიის და მუშურ გლეხურ ხელისუფლების წინაშე, რომ გვერდში ამოუდგებით მათ ყოველივე გაჭირვებაში და რევოლიუციონურად შევიკვეთებით ყველა მტრებს, აგრეთვე თავდადებით ვიმუშავებთ სამეურნეო ფრონტზე. მუხრანის გლეხობისაგან და მუშებისაგან ზიზღი და კრულვა საზღვარ გარეთ მყოფ საქართველოდგან გაქცეულ ვაჟბატონ მენშევიკებს, რომლებმაც გაიტაცეს საქართველოს მშრომელი ხალხის სიმდიდრე და ტკბილად განისვენებენ იმპერიალისტების ფრთების ქვეშ და შეექცევიან ჩვენს სიმდიდრეს. მათ უფლება არა აქვთ ჩვენის სახელით კიდევ ილაპარაკონ. ჩვენ გვყავს ის მთავრობა, რომელიც ჩვენის ნდობით არის აღჭურვილი, რომელიც ზრუნავს მუშების და უღარიბეს გლეხობის საკეთილდღეოთ და სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, განმათავისუფლებელ ძალას მსოფლიო მშრომელ ხალხისას. გაუმარჯოს მუშურ გლეხურ ხელისუფლებას, საბჭოთა მთავრობას. გაუმარჯოს წითელ ჯარს, მეხის დამცემს მსოფლიო იმპერიალისტებისას.

**გ. ა.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ბრძანება

**თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა.**

1. ა. წ. 4 აპრილს თბილისში დაიწყება სავაჭრო-სამრეწველო, სახელოსნო და შინა მრეწველობის დაწესებულებათა ბინების (დარაბების) აღწერა.

2. აღწერას აწარმოებენ აღმასკომის აგენტები, რომელთაც თან ექნებათ განსაკუთრებული მანდატები

3. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან აღწერის დღეებში ღიათ იქონიონ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი და დაწესებულ დროს განმავლობაში წინდაწინვე მოამზადონ ყოველგვარი დოკუმენტები, და ცნობები, ა) რამდენი ხანია უჭირავს აღნიშნული ბინა (დარაბი), ბ) რამდენს აძლევს ქალაქს თვეში დარაბის ფასს, გ) რომელი თვის შემოიტანა სადარაბო გადასახადი უკანასკნელად ქალაქის სალაროში, დ) რამდენს იხდის პატენტის ფასს, ე) სარეწავო გადასახადის რაოდენობა, 1921 წ. ვ) თანხის ბრუნვის საერთო რაოდენობა 1921 წ, ზ) კომპანიონების რაოდენობა, მათი ეროვნება და ქვეშევრდომლობა, თ) მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, ი) სრული აღწერა, როგორც ბინის (დარაბის) განუყოფელ ინვენტარის (თაროები, დაზგები, კედლის შკაფები და სხვა), აგრეთვე იმ ინვენტარის, რომელიც მოიჯარადრეს ხელშია, მაგრამ მას არ ეკუთვნის.

ყველა ეს ცნობები მოცემული უნდა იქნეს დოკუმენტების ჩვენებით.

4. მილიციის და აგრეთვე ქალაქის ხარჯით ამკრეფ აგენტებს ევალებათ აღმოუჩინონ აღმწერლებს ყოველივე დახმარება მოვალეობის ასრულებაში.

აღმასკომის თავმჯდომარეს მაგიერ **ი. წიწიშვილი**.

მდივანის მაგიერ: **ალშიბაია**.

## ბრძანება

**ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატთან არსებულ დეზერტირების წინააღმდეგ მებრძოლ საგანგებო კომისიისა.**

თანახმად ს. ს. ს. რ. (ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა ა. წ. 27 მარტის თარიღით № 1 ვაცხადებ საჩქაროთ და ფართოთ გასავრცელებლად თბილისის და მისი მაზრის მცხოვრებთა შორის შემდეგს.

საქართველოს წითელ არმიის ნაწილების საკომანდო შემადგენლობისა ყოველი თანამდებობის პირი, წითელი არმიელი ან სხვა სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც თავის ნებით დასტოვა ჯარის ნაწილი, აგრეთვე სამხედრო სამსახურში გაწვეული ყველა მოქალაქე, რომელიც დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდა სამხედრო სამსახურისთვის განთავისუფლებულ იქნებიან როგორც სასამართლოს, ისე დისციპლინარული პასუხის მგებლობისაგან დეზერტირობისათვის, უკეთუ იგი, დღიდან აღნიშნულ ბრძანების გამოქვეყნებისა ამა 1922 წ. აპრილის 10-მდე ნებაყოფლობით გამოცხადდება თავის ნაწილში ან სათანადო სამხედრო სამაზრო კომისარიატში.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი **კობიძე**.

## დადგენილება № 18.

**შრომის სახალხო კომისარიატის და პრ. კავშ. საბჭოს სატარიფო საეკონომიო განყოფილებისა.**

**მუშა მოსამსახურეთა დათხოვნისას წინასწარ გაფრთხილების დროის შესახებ.**

დამატებად დადგენილებისა № 7, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „პრავდა გრუზიი“-ს № 280 ა. წ. 5 თებერვალს, შრომის სახალხო კომისარიატი და სატარიფო საეკონომიო განყ. ადგენენ:

1. დასათხოვი მუშა მ სამსახურენი, როგორც სახელმწიფო ისე კერძო დაწესებულება წარმოებებში, ადმინისტრაციის მიერ ამის შესახებ გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ დათხოვის დღემდის ორი კვირით ადრე.

2. იმ შემთხვევაში თუ კი 1-ლ მუხლში აღნიშნული გაფრთხილება არ იქნება, დათხოვნილ მოსამსახურეს უნდა მიეცეს სალიკვიდაციო ჯილდოს გარდა, ორი კვირის საკონპენსაციო.

**შენიშვნა:** ეს ხარჯი გასტუმრებულ უნდა იქნეს დაწესებულების ან წარმოების მიმდინარე თვის ხარჯ აღრიცხვის ანგარიშიდან.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის ა. წ. 16 მარტიდან.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე**.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ნ. კიკნაძე**.

სატ.-საეკ. განყ. გამგე **ჯუღელი**.

16 მარტი 1922 წ.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ მე გამოვედი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიიდან.

**ნიკოლოზ ილიას ძე კურცხალია.**

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. კ. კომუნაძეს, სიღნაღში.** არ მიგვიღია, გამოგვზავნეთ ხელმეორეთ.

**სარედაქციო კოლეგია.**


# ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

**გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.**

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

**ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო**

ამით აცხადებს, რომ აღნიშნული სასამართლო იწვევს გარდაცვალებულის გრიგოლ იოსების ძის მჭედლიძის შემდეგ დანარჩენ ქონების მემკვიდრეებს რომლებმაც უნდა გამოაცხადონ თავიანთ მემკვიდრეობის უფლება, ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს)

(1—1)

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

# განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ეღირება 120.000 მან. მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ეღირება თვიურად 180,000 მან. მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ეღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

# განცხადება

## თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამრეწველო განყოფილება

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ყველა ის მოქალაქეები, რომლებიც უკვე აწარმოებენ ვაჭრობა-მრეწველობას და ამა წლის ხუთ აპრილამდე არ აიღებენ ამის კანონიერ უფლებას, თანახმად ა. წ. 14 იანვრიდან თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის № 1 სავალდებულო დადგენილებისა **5 აპრილიდან სრულიად კარგავენ ქალაქის ფარგლებში ვაჭრობის უფლებას და მათ სასწრაფო წესით ჩამოერთმევათ მაღაზიები ახალ მოიჯარადრეებზე გადასაცემათ, იქ აღმოჩენილი საქონელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბინაო ქირის გასანაღდებლად, ხოლო თვით დამნაშავე ვაჭარ მრეწველები დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველო განყოფილების გამგის ხელისუფლებით — 6 თვემდე გამასწორებელ სახლში მოთავსებით ან 25 მილიონი მან. დაჯარიმებით.**

**თბილ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.**

# განცხადება

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ამა წლის 25 მარტის სავალდებულო დადგენილების № 4 ცხოვრებაში გასატარებლად საყოველთაოდ აცხადებს, რომ **ქალაქის ფარგლებში მდებარე სახლების მესაკუთრეთა რეგისტრაცია დაიწყება ამა წლის 4 აპრილიდან ქ. აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებაში (ოთახი № 52).**

მესაკუთრენი უნდა გამოცხადდნენ სათანადო განცხადების წარსადგენათ, საანკეტო ფურცლის შესავსებათ და სარეგისტრაციო ბარათის მისაღებად, შემდეგი წესით:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | აპრილიდან | 1-ლ | უბანში | მდებარე | სახლების | მესაკუთრენი. |
| 11 | „ | 2 | „ | „ | „ | „ |
| 18 | „ | 3 | „ | „ | „ | „ |
| 25 | „ | 4 | „ | „ | „ | „ |
| 2 | მაისს | 5 | „ | „ | „ | „ |
| 9 | „ | 6 | „ | „ | „ | „ |
| 16 | „ | 7 | „ | „ | „ | „ |
| 23 | „ | 8 | „ | „ | „ | „ |
| 30 | „ | 9 | „ | „ | „ | „ |
| 6 | ივნისი | 10 | „ | „ | „ | „ |
| 13 | „ | 11 | „ | „ | „ | „ |
| 20 | „ | 12 | „ | „ | „ | „ |

ის სახლები, რომელთა მესაკუთრენი არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, ცნობილი იქნება როგორც უპატრონო.

ქალაქის აღმასრულებელი **კომიტეტი.**

(3—3)


# პარტიული

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმი აცხადებს მე-4 რაიონის ყველა წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს 4 აპრილს საღამოს საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

დღის წესრიგში: მუშათა ერთიანი ფრონტი ამხ. ს. ქავთარაძის მოხსენება.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.


ხუთშაბათს, 6 აპრილს დილის 10 საათზე

ქალაქის აღმას-კომის დარბაზის ეზოში, თავისუფლების მოედანზე

საჯაროთ გაიყიდება

# ნოხეულობა

(3—1)

აპრილის 6-ს, დილის 11 საათზე

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო სასურსათო კომისარიატის შენობაში დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

ხსენებულ კომისარიატისათვის ხორცის მიწოდების შესახებ. წინადადებანი ხორცის მოწოდების შესახებ მსურველთ შემოაქვთ დაბეჭდილ კონვერტით.

პირობების გაგება შეიძლება სასურსათო კომისარიატის დამამზადებელ განყოფილების უფროსთან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. იმ პირთ, ვისაც სურთ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, სახალხო სასურსათო კომისარიატის კასაში შეაქვთ არა უგვიანეს აპრილის 6 ს. დილის 11 საათამდე საწინდარი 10.000.000 მანეთი.

(3—1)

# დაიკარგა

პირადობის მოწმობა მოცემული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ; სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი სირაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)

# განცხადება

ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ მიერ მიცემულ მოქალაქე ლეონ ვასილის ძე კორგანოვზე ვექილობას, რეესტის № 495, თბილისის ნატარიუსი გ. მ. ჰვარიანთან, დღეის რიცხვიდან ვაუქმებთ. დომენტი მარკოზის ძე იმნაძე, ვიქტორ მარკოზის ძე იმნაძე, სიმონ მარკოზის ძე იმნაძე.

(1—1)

# დაკარგული საბუთები

1) პიროვნების მოწმობა № 35490, 2) საწევრო ბარათი № 1944, 3) საწლიური მატარებლის უფასო ბილეთი, 4) დედის ბილეთი კახეთში გასამგზავროდ, 5) რეგისტრაციის აღრიცხვის ბარათი და სხვა ქაღალდები ლავრენტი დავითის ძე ჩუტლაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1)